საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *მიხეილ ჯინჯოლიას* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**18**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**18**	**20**
წერის უნარი	**18**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**14**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**14**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**4**	**5**
პროფესიული აქტივობები	**3**	**5**
ქულათა ჯამი	**89**	**100**

სახელი, გვარი: მანუჩარ კაკოჩაშვილი

თარიღი: 26.06.2025

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
მანუჩარ კაკოჩაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - მიხეილ ჯინჯოლიას

შ ე ფ ა ს ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 10 აპრილის №1/35 განკარგულების საფუძველზე დაიწყო კონკურსი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურა. რომლის ფარგლებში განვახორციელე კანდიდატ მიხეილ ჯინჯოლიას შეფასება. შეფასების დასაბუთებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით.

კანდიდატის თაობაზე მოძიებული ზოგადი ინფორმაცია: კანდიდატი - დაბადებული 1987 წლის 24 აპრილს, უმაღლესი იურიდიული განათლებით, მაგისტრი კავკასიის უნივერსიტეტი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე. აქვს სპეციალობით მუშაობის 14 წლიანი გამოცდილება. მათ შორის მოსამართლედ მუშაობის 4 წელი და 5 თვე გამოცდილება.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით: „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის მიხედვით კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლები.

1. <u>პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:</u>

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება პირის როგორც მოსამართლისა და მოქალაქის - პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის მესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭვირვალობა კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა. სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას აგრეთვე სიმართლისმოყვარეობა.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოძიებული ინფორმაციის, ასევე საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე დგინდება, რომ კანდიდატს აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება,

მიხეილ ჯინჯოლიას უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ოთხი ფაქტი. დაკისრებული სანქციები (ჯარიმები) გადახდილია დროულად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ კანდიდატის მიმართ შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ორი ელექტრონული საჯარიმო ქვითარი. ჯარიმები გადახდილია დროულად.

რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის პრინციპულობას, შრომისმოყვარეობას, კეთილსინდისიერებას, შინაგან კულტურას, კომპეტენციას, პასუხისმგებლობის გრძნობის უნარს და მოსამართლის სტატუსისათვის შესაფერის სხვა აუცილებელ თვისებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

2. <u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:</u>

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.

მოპოვებული მონაცემებით დგინდება, რომ კანდიდატი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ან შემომწირველი, მის მიერ განხილულ იქნა საქმეები, რომელიც მოექცა მედიის ყურადღების ქვეშ, გააჩნია საკუთარი აზრი, არგუმენტირებულად ასაბუთებს თავის პოზიციას, არის თავდაჯერებული და აქვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. მისთვის კანონიერებასთან ერთად მნიშვნელოვანია სამართლიანობა. იგი არის საკუთარი სიტყვის ერთგული, კვალიფიციური, პრინციპული და ყოველგვარი ზეგავლენის მიმართ მედეგი პიროვნება

აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

3. <u>პიროვნული და პროფესიული ქცევა:</u>

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური

სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის ინფორმაციით, საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში კანდიდატ მიხეილ ჯინჯოლიას მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული

საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით კანდიდატი დაზარალებულად არ ყოფილა ცნობილი.

დამოუკიდებელი ინსპექტორის ინფორმაციით, მიხეილ ჯინჯოლიას მიმართ არ განხორციელებულა დისციპლინური დევნა და არ მიმდინარეობს ადმინისტრაციული სამართალწარმოება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა.

მიხეილ ჯინჯოლია აქვს ყველა ის პიროვნული და პროფესიული ქცევა: თავმდაბლობა, გულწრფელობა, სიდინჯე, შრომისმოყვარეობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. თავშეკავებულობა და სხვა. რომლებიც უნდა ახასიათებდეს მაღალი რეპუტაციის მქონე მოსამართლეს. ასე მიიჩნევს ერთერთი რეკომენდატორი. მას გააჩნია მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა. არის კომუნიკაბელური და დადებითი თვისებების მქონე პიროვნება. მშვიდად შეუძლია მოისმინოს სხვისი აზრი. იგი კოლეგებსა და სასამართლო აპარატის თანამშრომლებს ეპყრობა თავაზიანად და პატივისცემით. ხასიათდება მაღალი მორალური და საქმიანი რეპუტაციით. მას შესწევს უნარი მართოს საკუთარი ემოციები. ყოველთვის ზედმიწევნით იცავს სამოსამართლო ეთიკას და იქცევა მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

5. ფინანსური ვალდებულება:

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად ფინანსური ვალდებულების მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ. ფინანსური ვალდებულების შემოწმების მიზანია, შეფასდეს, არსებობს თუ არა საფუძველი მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას.

კანდიდატს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია და აქვს მიმდინარე სესხი, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია არის შესაბამისობაში ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან.

კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის ან უკანონობის ნიშნები არ გამოვლენილა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

<u>მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:</u>

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-17 პუნქტის თანახმად კომპეტენტურობის კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატი ფასდება ქულებით. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლის მნიშვნელობიდან გამომდინარე თითოეული მახასიათებლის მიხედვით მოსაპოვებელი ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა:

ა) სამართლის ნორმების ცოდნა - 20 ქულა;
ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 20 ქულა;
გ) წერის უნარი - 20 ქულა;
დ) ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 15 ქულა;
ე) პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში - 15 ქულა;
ვ) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 5 ქულა;
ზ) პროფესიული აქტივობა - 5 ქულა.

1. **<u>სამართლის ნორმების ცოდნა:</u>**

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გათვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებათა სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ცოდნის დონე. ამ მახასიათებლით მოსამართლის შეფასების მიზნით შემფასებელი ითვალისწინებს მოსამართლის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში სამართლის ნორმების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების სისწორეს. აღნიშნული მახასიათებლით მოსამართლის შესაფასებლად შემფასებელი აგრეთვე გამოითხოვს მოსამართლის მიერ ჩაბარებული მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგებს და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას.

მის მიერ წარმოდგენილი განაჩენებიდან და გასაუბრებაზე მიღებული შთაბეჭდილებებიდან უდაოდ იკვეთება კანდიდატის სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის სიღრმისეული ცოდნა, ის კარგად იცნობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ და საერთაშორისო სამართლის სასამართლო გადაწყვეტილებებს. ასევე

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსს რის შესახებაც ამომწურავად ისაუბრა გასაუბრების მიმდინარეობისას.

კანდიდატის მიერ სამართლის ნორმების ცოდნის შეფასებისას ასევე ვიხილმძღვანელე გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებებით. საჯარო მოსმენისას კანდიდატმა გამოავლინა ეროვნული კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის ცოდნის სათანადო დონე. შეკითხვები დაისვა სისხლის სამართლის როგორც საპროცესო ისე მატერიალური ნაწილის სფეროდან. კანდიდატმა ვრცლად ისაუბრა როგორც აბსოლუტურ უფლებებზე ისე სიცოცხლის უფლებაზე, კონვენციის მე-3 მუხლზე წამების აკრძალვასთან მიმართებით. ისაუბრა განსხვავებაზე უკიდურეს აუცილებლობასა და აუცილებელ მოგერიებას შორის. განმეორებით მსჯავრდების შესახებ, სამოქალაქო შეთანხმების შესახებ სისხლის სამართალში. ასევე სრულად და ამომწურავად ისაუბრა ევთანაზიასთან დაკავშირებით ევროპის კონვენციასთან მიმართებით და სხვა მრავალ საინტერესო თემაზე. მისი პასუხები იყო სრული, ამომწურავი და ყოვლისმომცველი.

აგრეთვე, გავითვალისწინე სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის სტატისტიკური მონაცემები ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გადაწყვეტილებების სტაბილურობის თაობაზე, რაც შეადგენს - 96,3%.

2. <u>სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია:</u>

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 351 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გათვალისწინება მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა, მოსამართლის ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება.

კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის შეფასებისას ვიხილმძღვანელე წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტის (განაჩენების), ასევე გასაუბრებისას მიღებული შთაბეჭდილებებით. იგი ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებში სწრაფად ერკვევა. მიმაჩნია, რომ განაჩენი შინაარსობრივად და ფორმალურად გამართულია, განაჩენების დასაბუთებისას იშველიებს როგორც ეროვნულ ისე ევროპული სასამართლოების პრაქტიკას, მათ მნიშვნელოვან განმარტებებს და სასამართლოს პრაქტიკას.

როგორც რეკომენდატორები აღნიშნავენ, მის მიერ მომზადებული განაჩენები დასაბუთებული ლოგიკური და დამაჯერებელია. მასში აზრი ნათლად და გასაგებად არის გადმოცემული.

კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით შეიძლება ითქვას, რომ ჯინჯოლია მიხეილი კარგად ფლობს საქართველოს სისხლის სამართლის როგორც მატერიალურ, ისე საპროცესო სამართლის თეორიულ საფუძვლებს. კანდიდატს აქვს ფართო სამართლერბრივი ცოდნის დონე, რაც საშუალებას აძლევს ისაუბროს ვრცლად, დამაჯერებლად და ლოგიკურად.

3. <u>წერის უნარი:</u>

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად წერის უნარის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.

მიხეილ ჯინჯოლიას განაჩენის გაცნობის შემდეგ, ვთვლი რომ დოკუმენტები სტილისტურად და ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ნათლად და გასაგებად გადმოსცემს აზრს. წერს სამართლებრივი და მარტივი ენით. აქვს უნარი ლაკონიურად და გასაგებად გადმოსცეს აზრი. ყურადღება გაამახვილოს მხოლოდ მნიშვნელოვანზე.

რეკომენდატორების მითითებით, კანდიდატის მიერ მიღებული განაჩენები/განჩინებები გამოირჩევა ლაკონიურობით, რაც განპირობებულია წერილობითი აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის უნარით.

4. **<u>ზეპირი კომუნიკაციის უნარი:</u>**

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.

კანდიდატმა საჯარო მოსმენის დროს გამოავლინა ზეპირი კომუნიკაციის კარგი უნარი, მეტყველებდა მშვიდად და გამართულად. დასმულ შეკითხვებს აღიქვამდა სწორად და აზრს გადმოსცემდა არგუმენტირებულად და დამაჯერებლად. მიმაჩნია, რომ ზეპირი კომუნიკაციისას კანდიდატი ყოველთვის არის ღია. აქვს დასმული შეკითხვის სწორად აღქმისა და და სხვისი, მათ შორის განსხვავებული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი.

5. **<u>პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში:</u>**

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის, მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სასამართლო სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა.

როგორც რეკომენდატორები და გამოკითხული პირები კანდიდატს ახასიათებენ მიხეილ ჯინჯოლია არის ორგანიზებული, თანმიმდევრული, მიზანმიმართული და შედეგზე ორიენტირებული პიროვნება. გაცნობიერებული აქვს ის პასუხისმგებლობა და ტვირთი, რაც დაკავშირებულია სასამართლო სისტემაში საქმიანობასთან. გამოირჩევა პრინციპულობით, გააჩნია პიროვნული სიმტკიცე და ხეგავლენის მიმართ მედეგობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით:

- ✓ საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა: ვადის დაცვით - 100%
- ✓ გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა: ვადის დაცვით - 100%
- ✓ გასაჩივრებული გადაწყვეტილებათა სტაბილურობა - უცვლელი 95,5%, შეცვლილი 4,5%
- ✓ საანგარიშო პერიოდში (978 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 3642 საქმე.

6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.

მიხეილ ჯინჯოლიას მონაწილეობა აქვს მიღებული სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა სამუშაო შეხვედრებსა და სემინარებში:

- ✓ 2020 წ 18 დეკემბერი - 2020 წ 19 დეკემბერი - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება;
- ✓ 2021 წ 22 მარტი - 2021 წლის 25 მარტი - კიბერდანაშაული და ელექტრონული მტკიცებულებები;
- ✓ 2022 წ 4-5 ივნისი, სემინარი - „სქესობრივი დანაშაული".
- ✓ 2022 წ 23-24 ივლისი, სემინარი - „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა".
- ✓ 2022 წ 29-30 ოქტომბერი, სემინარი - „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები და მნიშვნელოვანი განმარტებები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე".
- ✓ 2023 წ 15-17 მარტი, სისხლის სამართლის პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებული.
- ✓ 2023 წლის 7-9 აპრილი - დანაშაულისა და ძალადობის მოწმე ბავშვები - EU;
- ✓ 2023 წ 1 და 2 ივლისი, ტრენინგი - „სქესობრივი დანაშაული".
- ✓ 2023 წ 20-22 ოქტომბერი, სამუშაო შეხვედრა - „სამოსამართლო ეთიკა".
- ✓ 2023 წ 6-8 დეკემბერი, , სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით გამართული სამუშაო შეხვედრა.
- ✓ 2024 წლის 8 ივნისი, თბილისი, იუსტიციის უმაღლესი სკოლის ტრენინგი - „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები (პრეცედენტები)".

7. პროფესიული აქტივობა:

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად პროფესიული აქტივობის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას _ გაითვალისწინება სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვა, ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, დამსახურება იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე და სხვა.

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით (2018 წლის 28 ივლისი)

კანდიდატს ჩაბარებული აქვს ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით (2009 წლის 11 დეკემბერი)

კანდიდატი საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის 2024 წლის 24 მარტის დადგენილებით არჩეულ იქნა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მოსამართლე წევრად.

<u>კანდიდატის საბოლოო შეფასება:</u>

კანდიდატს კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ვანიჭებ 89 ქულას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი

საბჭოს წევრი მანუჩარ კაკოჩაშვილი

თარიღი: 26.06.2025